

„დამტკიცებულია“

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)

2019 წლის „-22 თებერვლის „ სხდომის

„ 01-06-02/20-“ დადგენილებით

დოქტორანტურის დეპარტამენტის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. დოქტორანტურის დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი) წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ეს დებულება განსაზღვრავს დეპარტამენტის ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და სტრუქტურას.

მუხლი 2. დეპარტამენტის ფუნქციები

დეპარტამენტის ფუნქციები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

1. მონაწილეობა უნივერსიტეტის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით ბოლონის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად, უმაღლესი აკადემიური განათლების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე სწავლების, სწავლისა და სტუდენტთა შეფასების ერთიანი სისტემის დანერგვაში დოქტორანტურის პროგრამებში;
2. დოქტორანტურის საფეხურზე სასწავლო პროცესის ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

3. დოქტორანტურის ეფექტური ფუნქციონირებისათვის სათანადო მეთოდური უზრუნველყოფის შემუშავება.
4. სტუ-ის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულბისა და დოქტორანტურის დებულების ახალი რედაქციის მომზადება (ცვლილებების, შესწორებების გათვალისწინებით), წარდგენა აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად;
5. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოების მუშაობის მონიტორინგი;
6. სადოქტორო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ ვადების, ვაკანსიების და საფაკულტეტო დროებითი კომისიების შესახებ ინფორმაციის წარდგენა აკადემიურ საბჭოზე; შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება;
7. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველთა საბუთების შემოწმება.
8. საფაკულტეტო დროებითი კომისიების ოქმებისა და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე დოქტორანტურაში ჩასარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება;
9. დოქტორანტების მიერ სასწავლო (აკადემიური) და საფინანსო ხელშეკრულების გაფორმებისა და სწავლების საფასურის გადახდის მონიტორინგი;
10. დოქტორანტების მობილობის/აღდგენის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მონიტორინგი. დოქტორანტების მობილობის, უნივერსიტეტის ფარგლებში სპეციალობის/პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) და დოქტორანტის სტატუსის აღდგენის პროცესთან დაკავშირებული პროცესის მონიტორინგი. დოქტორანტთა შესახებ ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი დასკვნების საფუძველზე მომზადებული შედარების აქტის მონიტორინგი;
11. უნივერსიტეტის ვებგვერდზე განსათავსებლად სადოქტორო პროგრამების, ბრძანებების, გამოცხადების შესახებ ინფორმაციის გადაცემა შესაბამისი სამსახურებისათვის;
12. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დოქტორანტებისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება;
13. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემების დამტკიცების ბრძანების პროექტის მომზადება;
14. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, მიმდინარე ცვლილებების შესახებ (სამეცნიერო ხელმძღვანელის დამატება/შეცვლა, სადისერტაციო თემის ცვლილება, დასახელების კორექტირება) ბრძანების პროექტის მომზადება;

15. დოქტორანტების მიერ სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების მონიტორინგი;
16. სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა დოქტორანტების ხელმძღვანელების - აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დატვირთვის მობიტორინგი, ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის დადგენა, სადოქტორო ნაშრომის დაცვის მაჩვენებლის განსაზღვრა
17. დოქტორანტების დაცვის წინა დოკუმენტაციის შემოწმება (უწყისები, კრედიტების საერთო რაოდენობის, სემინარის და კოლოკვიუმების ოქმები, გამოქვეყნებული შრომების სია, სწავლის საფასურის დაფარვა, სადისერტაციო ნაშრომის ანტიპლაგიატის პროგრამაზე შემოწმების დროს მიღებული დასკვნა და სხვა) და დაცვის ბრძანების მონიტორინგი.
18. დოქტორანტურის შესახებ სხვადასხვა სახის კონსულტაციების გაცემა;
19. კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტთა და პროფესორ მასწავლებელთა ინფორმირება დოქტორანტების სასწავლო კვლევით პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე;
20. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის დოქტორანტების შესახებ მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადება და მიწოდება;
21. პოსტდოქტორანტურის შესახებ დებულების მომზადება;
22. პოსტდოქტორანტების მიღების წესის შემუშავება;

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პირი (დეპარტამენტის უფროსი) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან.
2. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს მოადგილე.
3. დეპარტამენტში მთავარი სპეციალისტების, უფროსი სპეციალისტების რაოდენობა და თანამდებობრივი განაკვეთები განისაზღვრება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებული სტრუქტურის და საშტატო განრიგის შესაბამისად.
4. დეპარტამენტის თანაშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
5. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია რექტორის და რექტორის მოადგილის წინაშე.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაშია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

2. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანას განიხილავს და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
3. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემთხვევაში.